MES 3 20 0000970226

09/10/2020

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 22.09.2020
სხდომის დაწყების დრო: 16:20 სთ
სხდომის დასრულების დრო: 20:45 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული (I-II საკითხი)
სხდომის თავმჯდომარე: დიმიტრი გეგენავა (III საკითხი)
საბჭოს მდივანი: ნიკა თიკანაშვილი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დიმიტრი გეგენავა** - შპს "სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
3. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - საბჭოს მდივანი;
4. **მანანა კველიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
6. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი;

7. **პაატა ბრეკაშვილი** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მენეჯმენტის მიმართულებით;
8. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
9. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" სადოქტორო პროგრამის სტუდენტი;
10. **ზურაბ ორჯონიკიძე** - სსიპ-თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხალმძღვანელი,პროფესორი;
11. **ზურაბ გვიშიანი** - სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი მოვალეობის შემსრულებელი;
12. **რომეო გალდავა** - სსიპ- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი,ასოციირებული პროფესორი;
13. **ირმაწერეთელი** - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ლაშა მარგიშვილი	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე
2	ქეთევან ინანაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
3	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
4	თამარ აფრასიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
5	გიორგი მუნჯიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
6	სოფო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
7	თამთა ანთიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლოდაწესებულებისწარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდა წესებულებისდასახ ელება	სტატუსი	საკითხი
1.	დავით კერესელიძე		აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე	I, II, III
			კანცლერი	I, II, III

1.	ეკატერინე აზარაშვილი			
1.	ნანა ჯაფარიძე		პროგრამის ხელმძღვანელი	I
1.	ნინა ჭანიშვილი	ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	I
1.	ეკატერინე ქრისტესაშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	II
1.	ვლადიმერ ლუარსაბიშვილი		პროფესორი	II
1.	ივანა მაჩიტიძე		ასოცირებული პროფესორი	II
1.	ეთერ ღვინერია		პროგრამის ხელმძღვანელი	III

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	გიორგი ჯაფოშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	მაგდა ალანია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ლევან ციცქიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ანი ბილანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	ნინო ფალავანდიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	მალხაზ გაგუა	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	ნიკა გიგაური	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	გოდერძი ბუჩაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
9	ზაქარია ქიტიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
10	თეონა კუპრაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 16:20 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „განათლების მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტისა და ინდუსტრიული პოლიტიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „კომპიუტერული ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით სხდომაზე დამსწრე წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს დღის წესრიგით გათვალისწინებული ბოლო ორი საკითხის შემდეგი სხდომისათვის გადატანა და ერთხმად დაამტკიცეს საბჭოს ახალი დღის წესრიგი.

დამტკიცებული დღის წესრიგი:
1. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „განათლების მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. პირველი საკითხი: ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	---
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	---
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	---
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების დოქტორი, 0511
8		---

	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
9	სწავლების ენა	ინგლისური
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
11	განხორციელების ადგილი	ნოდარ ბოხუას 11, 0159, თბილისი, საქართველო
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	---

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
ü არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
ü არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე გიორგი ჯაფოშვილი მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს და წარმოადგინა ექპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია მოსაყვანი მოქმედ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან.
- ვინაიდან პროგრამაზე მიიღებიან ქიმიის, ფიზიკისა და მათემატიკის მაგისტრები, რომელთაც შესაძლოა არ ჰქონდეთ მე-6 ან მე-7 საკვალიფიკაციო დონის არცერთი კრედიტი სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების მიმართულებით, საჭიროა მიღების წინაპირობებში დაკონკრეტდეს, თუ რას უნდა აკმაყოფილებდეს ასეთი კანდიდატი, რომ მან შეძლოს პროგრამით განსაზღვრული შედეგების მიღწევა;
- „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის შესაბამისად, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის კრედიტების რაოდენობა უნდა მოვიდეს შესაბამისობაში კანონის მოთხოვნებთან;

- სადოქტორო კვლევის ძირითადი ინსტრუმენტების საგანში აქცენტები კეთდება ნეირომეცნიერებებზე, მიკრობიოლოგიასა და გენეტიკაზე, პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე სასურველია პროგრამა მოვიდეს შესაბამისობაში პროგრამის სახელთან და მოიცვას „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნირებების“ სხვა დარგებიც, და პროგრამაში დაემატოს 2-3 შესაბამისი ძირითადი საგანი;
- საჭიროა არჩევითი საგნების შემოტანა, რომელიც სტუდენტს დაეხმარება გარკვეული კომპეტენციებისა და ცოდნის შეძენაში, შესაბამისად კრედიტების გადანაწილება გადასახედია;
- უნდა დაემატოს სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების ისეთი კომპონენტები, როგორებიცაა, ეკოლოგია, ბიომრავალფეროვნება და სხვა, რათა ნათელი გახდეს, რომ უნივერსიტეტი ფიქრობს და გეგმავს ისე, როგორც პროგრამის სახელწოდებაა;
- „უმაღლესი განათლების შესახებ“საქართველოს კანონის 46-ე მუხლის შესაბამისად, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს. შესაბამისად კვლევითი კომპონენტის სავალდებულო გაწერა არაა მიზანშეზონილი კრედიტებში და უნდა მიემართებოდეს წლების ხანგძლივობას;
- განახლდეს აკადემიური პერსონალის CV–ები, რადგან ზოგიერთი პერსონალის CV-ში არ ჩანს მათი ბოლოდროინდელი სამეცნიერო აქტივობები;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ნაწილს უკანასკნელი 10 წლის მანძილზე არა აქვთ გამოქვეყნებული სტატიები რეიტინგულ ჟურნალებში;
- პროგრამაში მონაწილე პერსონალის მონაცემები უნდა იძებნებოდეს QMS ელექტრონულ ბაზაში უნივერსიტეტის ჩანაწერებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავისი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით კერესელიძემ განაცხადა, რომ სტრატეგიული მნიშვნელობის რამდენიმე საკითხი იყო წამოჭრილი და ძალზედ მნიშვნელოვანი იყო ამ საკითხებზე მსჯელობა. პირველ რიგში, დაწესებულებამ ცენტრში იმ პერიოდში წარმოადგინა სააკრედიტაციოდ „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა“ როდესაც დასაშვები იყო პროგრამის წარდგენა “საქართველოს განათლებისა და მენიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის N120/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა აღმწერის მიხედვით, რაც მოიცავდა ექვს კრიტერიუმს: ა) ცოდნა და გაცნობიერება; ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი; გ) დასკვნის უნარი; დ) კომუნიკაციის უნარი; ე) სწავლის უნარი; ვ) ღირებულებები, რომელიც ადაპტირებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორით განსაზღვრულ სამ ელემენტში, კერძოდ: ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობაში.

დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის დადგენილია ვადა, რა დროშიც ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა უნდა მოვიდეს შესაბამისობაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“, შესაბამისად, აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაცია თავისთავად შესრულდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარე, ირაკლი ბურდული დაინტერესდა, თუ რატომ მოხდა ექვსი კომეპეტენციის სამზე დაყვანა, იქნებ ეს ფორმალურ სამართლებრივ მოთხოვნას წარმოადგენდა. შესაძლოა არ ეწინააღმდეგენოდა ერთი მეორეს, თუმცა აღნიშნული მოთხოვნის შესაბამისად უნდა მოქცეულიყო ფორმალურ სამართლებრივ ჩარჩოში პროგრამა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სამდონიანი ჩაშლა იყო LLL (Life Long Learning) სისტემა. რომელიც ეხებოდა ზოგად განათლებას, პროფესიულს და უმაღლესს. ამის მიღმა იყო სპეციალური სტანდარტი, სპეციალური უმაღლესი განათლებისთვის ბოლონიის სისტემაში, რომელიც იყო დუბლინის დისკრიპტორით განსაზღვრული 2003 წელს, რომელიც შეეხებოდა კვალიფიკაციებს უმაღლეს განათლებაში. თუ წმინდა იურიდიული თვალსაზრისით მივუდგებოდით, რას წარმოადგენდა საერთაშორისო სტანდარტი უმაღლეს განათლებაში, მისი აზრით, უმაღლეს განათლებაში მოქმედებდა კვალიფიკაციათა ჩარჩო და აღმწერი უმაღლესი განათლებისთვის, მისთვის უფრო მისაღები იყო არა სამდონიანი ჩაშლა არამედ ექვსიანი. არგუმენტად მოიყვანა, რომ უმაღლეს განათლებაში მოქმედებდა ბოლონიის სისტემით გათვალისწინებული დუბლინის დისკრიპტორი.

დაწესეულების წარმომადგენელმა საბჭოს სთხოვა გადაწყვეტილების მიღების დროს ზემოთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჰქონოდა ნათლად ჩამოყალიბებული განმარტება, რამდენად მიზანშეწონილად მიიჩნევდნენ პროგრამის სწავლის შედეგების გაწერას სამი კრიტერიუმის მიხედვით, რის მიხედვითაც იმოქმედებდა დაწესებულება.

მეორე საკითხთან დაკავშირებით დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი რაც ადგენს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობას და სასწავლო კომპონენტის კრედიტების რაოდენობას, კერძოდ: გ) დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს. იქვე მან გაამახვილა ყურადღება, სწორედ ამ ქვეპუნქტის ქვეშ არსებულ 2^1 პუნქტზე, სადაც მოცემულია, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში 1 სასწავლო წლის განმავლობაში საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტებთან მსჯელობის საგანს წარმოადგენდა რამდენად იყო დაწესებულება უფლებამოსილი, პროგრამაში ეწეროს, რომ ის არის 180 კრედიტიანი. აქაც განმარტებას მოითხოვდა საკითხი, თუმცა პრინციპული წინააღმდეგობა უნივერსიტეტის მხრიდან ამ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობდა. უბრალოდ, ევროკომისიის ვებგვერდზე ეწერა, ქვეყნების მიხედვით, რომ კვლევითი კომპონენტის ECTS-ში გათვლის ოდენობა განხვავებულია, თუმცა არსად არ ეწერა, რომ ECTS-ში არ უნდა დათვლილიყო. დავით კერესელიძის განმარტებით, ამ ჩანაწერით შესაძლებელი იყო სადოქტორო პროგრამა ყოფილიყო ECTS კრედიტებზე მიბმული და ეს ნათლად ჩანდა ზემოთ აღნიშნული საკანონმდებლო ნორმიდან. შესაბამისად, სადავოც არაფერი არ იყო.

დავით კერესელიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ დაწესებულების კითხვას წარმოადგენდა შემდეგი: პროგრამაში კრედიტების მითითება უნდა ჩათვლილიყო კანონდარღვევად და უნდა შეცვლილიყო, თუ შესაძლებელი იყო მითითება, რადგან ერთი წლის წინ სადოქტორო პროგრამამ რეაკრედიტაცია გაიარა ამ შინაარსით/მოდელით. თუმცა, დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტებსაც სთხოვეს ამ საკითხის წამოჭრა, რადგან ძალიან მნიშვნელოვანი იყო ერთგვაროვანი პოზიციის ჩამოყალიბება. დაწესებულების წარმოამდგენელმა კიდევ ერთხელ, დამატებით განმარტა, რომ საკანონმდებლო ნორმა ადგენს, რომ სადოქტორო პროგრამა სამ წლიანი უნდა იყოს, თითოეული წელიწადი არის 60 კრედიტი, 60 გამრავლებული სამზე არის 180 კრედიტი, შესაბამისად მარტივი მათემატიკიდან გამომდინარე ყველა თანხმდებოდა, რომ კრედიტებში რომ გაწერილიყო 180 კრედიტიანი უნდა

ყოფილიყო სადოქტორო პროგრამა. დავით კერესელიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ როდესაც საუბარი იყო მობილობაზე, როდესაც მათი კურსდამთავრებული უცხოეთში წავიდოდა ყველა ჩათვლიდა, რომ ეს იყო მინიმუმ 180 კრედიტიანი პროგრამა, რადგან ჩანაწერში იყო მინიმუმ 180 კრედიტი, შეიძლება სამიდან ხუთ წლამდე ყოფილიყო. წმინდა ფორმალური კუთხით თუ მივუდგებოდით კანონი ამბობდა, რომ სადოქტორო პროგრამა უნდა იყოს სამი წელი, 60 კრედიტს არ უნდა აღემატებოდეს სასწავლო კომპონენტი, ნათელია, შეზღუდვა არის. აქცენტი გადატანილი იყო კვლევით კომპონენტზე და სწორიც იყო. თუმცა, დაწესებულების წარმომადგენელს ჰქონდა კითხვა, თუ პროგრამას ჰქონდა 60 კრედიტი სასწავლო კომპონენტი, თუმცა პროგრამას მაინც მიენიჭა კრედიტები და ამბობდა, რომ იყო 180 კრედიტი, ამით არღვევდა თუ არა რამეს.

საბჭოს წევრმა, ნიკოლოზ კიკნაძემ განაცხადა, რომ ამ ნორმასთან დაკავშირებით არაერთხელ უმსჯელია საბჭოს. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, დიმტრი გეგენავა დაეთანხმა საბჭოს წევრს და დაამატა, რომ საბჭოს ერთგვაროვანი პრაქტიკაც იყო ჩამოყალიბებული აღნიშნულთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელი დაინტერესდა ზემოაღნიშნული ერთგვაროვანი პრაქტიკა რას გულისხმობა. რაზეც საბჭოს წევრმა, ნინო დობორჯგინიძემ განმარტა, რომ ერთგვაროვანი პრაქტიკა იყო სადოქტორო ნაშრომის ერთჯერადი შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მას არ სურდა რომელიმე მხარეს დარჩენოდა უკმარისობის განცდა და მიუხედავად არსებული პრაქტიკისა, შესაძლებელი იყო ეს პრაქტიკა შეცვლილიყო. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებით, მხარეს უნდა მისცემოდა სრული შესაძლებლობა რომ ამ საკითხზე თავისი პოზიცია დაეფიქსირებინა. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს, გაეგრძელებინათ რეკომენდაციების შესახებ პოზიციის დაეფიქსირებინათ.

შემდეგი საკითხი, უკავშირდებოდა პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იყო ძალიან საინტერესო დეტალი, რომ „სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებებში“ პროგრამაზე დაიშვებოდნენ ქიმიის, ფიზიკის და მათმატიკის სპეციალისტები. პროგრამაზე დოქტორანტობის კანდიდატის დაშვება რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით ხდებოდა, ერთ-ერთი იყო ხელმძღვანელის რეკომენდაცია, აპლიკანტის განაცხადი და სხვა. თუკი, პირი ფიზიკის ან ქიმიის კვალიფიკაციით და არა ბიოქიმიის, წარმოადგენს კარგ კვლევით კონცეფციას და შესაბამისად მზად იქნება ჩაერთოს მულტიდისციპლინურ კვლევით გუნდში და შესაბამისად, შეძლებს სწავლის შედეგებზე გასვლას „სიცოცხლის შმსწავლელ მეცნიერებებში“, რომ იმ ადამიანებს, არ ჩაეკეტოთ კარი თავიდანვე, ფორმალური წინაპირობებით. თუ საუბარია იურიდიულ ნიუანსზე, სადოქტორო დონეზე მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით არ არსებობდა შეზღუდვა, ერთადერთი მოთხოვნა იყო მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული პირი. თუმცა, არსებობს პროგრამები სადაც დაწესებულება თავიდანვე ადგენს, რომ თუ ადამიანს არ აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია, მას გაუჭირდება სწავლის შედეგებზე გასვლა და ქმნიან დამატებით ბარიერებს. ამ შემთხვევაში პროგრამის შედგენაში ჩართულმა პირებმა ჩათვალეს, რომ ქიმიის, ფიზიკისა თუ მათემატიკის კვალიფიკაციის მქონე პირი, შეიძლებოდა მულტიდისციპლინურ გუნდში თუ ინტერდისციპლინურ კვლევაში ჩართულიყო. ერთ-ერთ კრიტერიუმს ასევე წარმოადგენდა აპლიკანტთან გასაუბრება.

შემდეგ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აქცენტი გაკეთებული იყო, რომ დაწესებულებას ჰქონდა გამოყოფილი კოჰორტების მიხედვით მიღების კონცენტრაცია კონკრეტულ სფეროებზე მაგალითად, ნეირომენიერებები, კონკრეტული მიმართულებები, რა მიმართულებითაც

ამჟამად დაწესებულებაში მიმდინარეობდა კვლევები. ასევე აღნიშნა, რომ საბჭოს ესწრებოდნენ პროგრამის თანახელმძღვანელები და თანაგანმახორციელებლები. ერთ შემთხვევაში ბერიტაშვილის ინსტიტუტის თანამშრომელი და მეორე შემთხვევაში ელიავას სახელობის ინსტიტუტის თანამშრომელი, რაც იმას ნიშნავდა, რომ რეალურად ის კვლევები, რომლებიც განხორციელდება იქნებოდა დოქტორანტებისა და პროგრამაში ჩართვის მთავარი მაგნიტი/მამოძრავებელი. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე იმ სილაბუსში, რომელზეც ექსპერტებმა გაამახვილეს ყურადღება, აქცენტი მაგალითების დონეზე იყო ზუსტად ამ მიმართულებით გაკეთებული, რომ ნათელი ყოფილიყო, რას აკეთებდა დოქტორანტი, როდესაც ერთვებოდა სამეცნიერო კომპონენტის განხორციელებაში და შესაბამისად, მათი შეთავაზება/რეკომენდაცია, სხვა სასწავლო კურსების დამატებაზე, დაწესებულების წამრომადგენლები იზიარებენ, თუკი მათ ეყოლებოდათ დოქტორანტები სხვა მიმართულებებიდან. ასეთ სტუდენტებს თავიანთ დისერტაციაზე მორგებულ წრეს შესთავაზებენ. დაწესებულების წარმომადგენელმა პროგრამის თანახელმძღვანელებს სთხოვა დაეფიქსირებინათ პოზიცია და აღნიშნა, რომ იყო ბევრი რეკომენდაცია ტექნიკურ ხარვეზებთან დაკავშირებით, მაგალითად, CV-ების მოწესრიგრებაზე, საერთაშორისო გამოქვეყნების რაოდენობის გაზრდაზე, რასაც დაწესებულებისთვის მისაღებია და იზიარებდნენ ექსპერტთა პოზიციას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა პროგრამის ხელმძღვანელებს, ხომ არ სურდათ რაიმეს დამატება.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ნინა ჭანიშვილმა სასწავლო კურსების დამატებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ თავად მიკრობიოლოგიის მიმართულებით იყო ჩართული საგანმანათლებლო პროგრამაში. პროგრამაშიც აღნიშნული იყო, რომ მიკრობიომის შესწავლა წარმოადგენდა ერთ-ერთ მიზანს, მიკრობიომი სწორედ წარმოადგენდა ეკოლოგიურ ნიშას, ოღონდ ადამიანის შიგნით, ნაწლავის, ზედა სასუნთქი გზების ან პირის ღრუს ეკოლოგიურ ნიშას. ეკოლოგია ასევე მოიცავდა მთების, ზღვების, მდინარეების ეკოლოგიას, მაგრამ დაწესებულებას მოცემულ ეტაპზე არ ჰქონდა რესურსი ამ მიმართულებით კვლევების წარმოებისა, თუმცა სამომავლოს ამ მიმართულების განვითარება იგეგმებოდა.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ნანა ჯაფარიძემ პერსონალთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე, რაც გულისხმობდა ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სტატიების არ არსებობაზე, განმარტა, რომ ასეთი შემთხვევა იყო სულ რამდენიმე, თუმცა ამ ადამიანებს გააჩნდათ საკმაოდ მძლავრი კვლევითი პოტენციალი და გამოცდილება ამ მიმიმართულებით. იგი გულშემატკივრობდა მათ და თვლიდა, რომ აუცილებლად უნდა მისცემოდათ შანსი, რომ კიდევ ერთხელ ჩართულიყვნენ და კვლევითი პოტენციალის რეალიზაცია მოახდინათ, რადგან ძალიან დიდი გამოცდილების და პოტენციალის მქონე პირები იყვნენ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით კერესელიძემ განაცხადა, რომ ნანა ჯაფარიძე გულისხმობდა იმ გამოცდილ პროფესორებს, რომლებიც ბოლო პერიოდში ისე აქტიურები აღარ იყვნენ სამეცნიერო სამყაროში, მაგრამ დოქტორანტთა ხელმძღვანელობის კონტექსტში ჯერ კიდევ საკმაოდ კარგი პოტენციალი გააჩნიათ, რათა სწორი მიმართულება მიეცათ დოქტორანტებისთვის. აქ საუბარი იყო ორივე კვლევით დაწესებულებაში დასაქმებულ გამოცდილ პერსონალზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მოითხოვა საკითხის დაზუსტება, საუბარი იყო მაღალრეიტინგულ, იმპაქტფაქტორიან ჟურნალებში სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნებაზე, თუ ბოლო 10 წლის განმავლობაში სამეცნიერო საქმიანობის გაწევაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა, ნანა ჯაფარიძემ განმარტა, რომ საუბარი იყო როგორც მაღალ რეიტინგულ, იმპაქტფაქტორიან

ჯურნალებში პუბლიკაციების არ არსებობაზე, ასევე იყო რამდენიმე ერთეული პიროვნება რომელთაც არ ჰქონდათ საერთოდ პუბლიკაციები ბოლო 10 წლის განმავლობაში, მაგრამ ჰქონდათ ძალიან დიდი პედაგოგიური გამოცდილება, მძლავრი მეცნიერული პოტენციალი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ასეთი როგორც მას ახსოვდა იყო ორი პიროვნება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა მოითხოვა დაზუსტება პროგრამის სასწავლო კომპონენტი ჯამში რამდენი იყო. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სასწავლო კომპონენტი იყო 60 ECTS კრედიტი.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ როგორც კურიკულუმის რუკაში კითხულობდა, პირველ საგანი იყო 30 კრედიტიანი, შემდეგი 15 კრედიტიანი და ასე შემდეგ, რაც ბევრად მეტი გამოდიოდა ჯამში ვიდრე 60 კრედიტი. დავით კერესელიძემ განაცხადა, რომ პროგრამაში იყო 2 სემინარი და 2 სწავლების მეთოდები, ანუ ჯამში 60 კრედიტი. დავით კერესელიძემ განმარტა, რომ სემინარი 1 იყო ძირითადი, სემინარი 2 იყო - არჩევითი. ანალოგიურად, სწავლების მეთოდები 1 - ძირითადი, სწავლის მეთოდები 2 – არჩევითი, რაც ნიშნავდა, რომ ამ ორი არჩევითიდან სტუდენტი ირჩევდა ერთ-ერთს.

პაატა ბრეკაშვილმა აღნიშნა, სასწავლო კურსის Guided Research-მდე 60 კრედიტი გროვდებოდა ძირითადი სასწავლო კურსებით, ხოლო ამის შემდეგი ყველა იყო არჩევითი, რაც 60 კრედიტს აჭარბებდა. დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ ეს ყველაფერი დისერტაციის ნაწილები იყო, Professor Guided Research და "კოლოქვიუმი" დისერტაციის ნაწილებს წარმოადგენდა.

17:10 საათზე საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი გურანდა ჭელიძე.

საბჭოს წევრმა პაატა ბრეკაშვილმა კიდევ ერთი კითხვით მიმართა, როგორც ექსპერტებს ასევე დაწესებულების წარმომადგენლებს, სასწავლო კომპონენტები, რაც წარმოდგენილი იყო რუკაზე, იყო Basic Tools, Teaching Methods, სემინარი 1 და 2, თუ მხოლოდ ეს იყო სასწავლო კომპონენტი არ იყო წარმოდგენილი სასწავლო მასალა. სილაბუსში იყო მინიშნება, რომ სასწავლო მასალას პროფესორი და სტუდენტები შეთანხმების საფუძველზე გადაწყვეტდნენ და ჩამოაყალიბებდნენ. იგი დაინტერესდა როგორ აფასებენ აღნიშნულ საკითხს ექსპერტები და რა ლოგიკით ჰქონდა დაწესებულს ამგვარად.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი ჯაფოშვილმა განაცხადა, რომ სილაბუსი „სადოქტორო კვლევის ძირითადი ინსტრუმენტები", ძირითადად შეადგენდა 30 კრედიტს და კარგად ჩანდა, რომ საგანი იყო საკმაოდ მოცულობითი და მრავალმხრივი. იმ დარგების, რომელზეც იყო ძირითადი აქცენტები გაშლილი იყო და კარგად განმარტებული. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნდა, რომ ეს იყო ძალიან კარგი საგანი და საკმარისი იმისთვის, რომ თავისი მოვალეობა შეესრულებინა.

საბჭოს წევრმა დააზუსტა, რომ მისი კითხვა ეხებოდა სემინარ 1-ს და 2-ს, სადაც სასწავლო მასალა არ იყო მითითებული. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ სასწავლო მასალა შერჩეული იქნებოდა იმის მიხედვით, რა თემატიკისაც იქნებოდა დოქტორანტის საკვლევი საკითხი. ექსპერტთა ჯგუფმა ამაში ვერანაირი უხერხულობა ვერ დაინახა.

დავით კერესელიძე დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს და განაცხადა, რომ აქ იყო ნიუანსები, და ვისაც სემინარები ჰქონდა სადოქტორო პროგრამებში, იცოდნენ, რომ სემინარის

თემა იყო ყოველთვის განსხვავებული, მათ ამ შემთხვევაში ჰქონდათ Community Research-ის მიდგომა. რაც იმას გულისხმობდა, რომ იმ მომენტში რაც არის აქტუალური ის ხდება სემინარის თემა. ბოლო სემესტრი იყო Covid-19, წინა სემესტრი იყო სისხლის დონაციის პრობლემა.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა დააზუსტა თავისი კითხვა, მას აინტერესებდა სასწავლო მასალით რეალურად როგორ ადგენენ მთელი სემესტრის მანძილზე სწავლის შედეგზე გასვლას, აინტერესებდა ეს პროცესი როგორ იყო ორგანიზებული - დოქტორანტი მთელი სემესტრის მანძილზე თანხმდება ხელმძღვანელთან, შემდეგ იგეგმება სილაბუსი, დგინდება მიზნებზე და შედეგზე გასვლა. ამგვარი მექანიზმი კურიკულუმში მინიშნებული არ იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აქ საუბარი იყო კვლევის უნარების განვითარების სასწავლო კომპონენტზე, ანუ სემინარი ზოგადად იყო კომპონენტი, რომელიც არ იყო დაკავშირებული დისერტაციის თემასთან. დოქტორანტს, რომელიც შემდეგ დაასრულებდა პროგრამას, შეძლებდა კვლევის განხორციელებას არამხოლოდ საკუთარი კვლევისა და დისერტაციის, არამედ ზოგადად სხვა საზოგადოებისთვის აქტუალურ თემების ფარგლებშიც. ამიტომ, ამ კომპონენტის მიზანი თავიდან 20 წლის წინ წამოღებული იყო გერმანული მიდგომიდან, სადაც ერთადერთი კომპონენტია დისერტაციის მიღმა და ითხოვენ, რომ ეს არ იყოს დისერტაციის ნაწილი, ეს სასწავლო კომპონენტად დამკვიდრდა გერმანული გავლენით და მათი დაწესებულება არ იყო ერთადერთი უნივერსიტეტი, რომელიც ამ კომპონენტს ინარჩუნებდა. პირიქით თვლიდნენ, რომ მისაღები იყო და საუბარი იყო იმაზე, რომ სწავლის შედეგი იყო უნარის დემონსტრირება დისერტაციისგან განყენებულ სფეროში. შესაბამისად, თემატიკა რაც იქნება, დოქტორანტმა სტატიით უნდა დაადასტუროს სემესტრის ბოლოს, მან უნდა შეძლოს დაასრულოს სასემინარო ნაშრომი, რომლითაც სწავლის შედეგებზე გავა. შედეგებზე გასვლა დასტურდებოდა პუბლიკაციით, რომელიც იყო დისერტაციისგან განყენებულ სფეროში.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:15
დასრულების დრო: 18:00

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციაზე უარის თქმის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, 22 სექტემბრის ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის პირველი სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთა“, ხოლო მე-2 სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდეს, როგორც „არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან“.

აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:

- პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია მოსაყვანი მოქმედ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს აღმწერებთან.
- „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის შესაბამისად, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების რაოდენობა უნდა მოვიდეს შესაბამისობაში კანონმდებლობის მოთხოვნებთან; კვლევითი კომპონენტის კრედიტებში გაზომვა ვე მოხდება და უნდა მიემართებოდეს წლების ხანგძლივობას;
- სადოქტორო კვლევის ძირითადი ინსტრუმენტების საგანში აქცენტები კეთდება ნეირომეცნიერებებზე, მიკრობიოლოგიასა და გენეტიკაზე, პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე სასურველია პროგრამა მოვიდეს შესაბამისობაში პროგრამის სახელთან და მოიცვას „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნირებების“ სხვა დარგებიც; პროგრამაში დაემატოს 2-3 სწავლის სფეროს შესაბამისი ძირითადი საგანი;
- საჭიროა არჩევითი საგნების შემოტანა, რომელიც სტუდენტს დაეხმარება გარკვეული კომპეტენციებისა და ცოდნის შეძენაში, შესაბამისად კრედიტების გადანაწილება გადასახედია;
- უნდა დაემატოს სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების ისეთი კომპონენტები, როგორებიცაა, ეკოლოგია, ბიომრავალფეროვნება და სხვა, რათა ნათელი გახდეს, რომ უნივერსიტეტი ფიქრობს და გეგმავს ისე, როგორც პროგრამის სახელწოდებაა;
- განახლდეს აკადემიური პერსონალის CV–ები, რადგან ზოგიერთი პერსონალის CV-ში არ ჩანს მათი ბოლოდროინდელი სამეცნიერო აქტივობები;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ნაწილს უკანასკნელი 10 წლის მანძილზე არა აქვთ გამოქვეყნებული სტატიები რეიტინგულ ჟურნალებში;
- პროგრამაში მონაწილე პერსონალის მონაცემები უნდა იძებნებოდეს QMS ელექტრონულ ბაზაში უნივერსიტეტის ჩანაწერებში (ამ ბაზაში სისტემატიზირდება დაწესებულებების პერსონალის მონაცემები და მონაცემები აიღება შეფასების პროცესის განხორციელებისას).

რჩევებში გადავიდა შემდეგი რეკომენდაციები:

- ვინაიდან პროგრამაზე მიიღებიან ქიმიის, ფიზიკისა და მათემატიკის მაგისტრები, რომელთაც შესაძლოა არ ჰქონდეთ მე-6 ან მე-7 საკვალიფიკაციო დონის არცერთი კრედიტი სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების მიმართულებით, საჭიროა მიღების წინაპირობებში დაკონკრეტდეს, თუ რას უნდა აკმაყოფილებდეს ასეთი კანდიდატი, რომ მან შეძლოს პროგრამით განსაზღვრული შედეგების მიღწევა.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 24-ე მუხლის, ასევე, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, ამავე კანონის 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული

კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციის მინიჭებაზე.

2. მეორე საკითხი: ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „პოლიტიკის მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	პოლიტიკის მეცნიერება და საერთაშორისო ურთიერთობები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	---
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	15/07/2015, N57
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	---
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	კვალიფიკაციის დასახელება	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი საერთაშორისო ურთიერთობებში (0705) სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი პოლიტიკის მეცნიერებაში (0702)
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	---
9	სწავლების ენა	ინგლისური
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
11	განხორციელების ადგილი	**ნ. ბოხუას 11, თბილისი, ეკო-კამპუსი, 0159, საქართველო**
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	---

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელებმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა, ნინო ფავლენიშვილმა. მან აღნიშნა, რომ პროგრამა იყო ინგლისურენოვანი. აერთიანებდა ორ მიმართულებას საერთაშორისო ურთიერთობებსა და პოლიტიკის მეცნიერება. მისი ვარაუდით, მომავალში პროგრამას მოუწევდა ორად გაყოფა. პროგრამა ძალზედ საინტერესო იყო. სწავლების ენა ინგლისური იყო. სტუდენტები და აკადემიური პერსონალი იყვნენ, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელები. საინტერესოა და მომხიბვლელი იყო პროგრამა იმ თვალსაზრისითაც, რომ მსგავსი პროგრამები ბევრი არ იყო, ადგილობრივ სტუდენტებს ეძლეოდათ საშუალება არამარტო ესწავლათ ინგლისურ ენაზე, არამედ ურთიერთობა ჰქონდეთ უცხო ქვეყნის მოქალაქე თანატოლებთან. ეს ინტერვიუების დროს აღნიშნეს, როგორც ქართველმა, ასევე უცხოელმა სტუდენტებმაც, რომ მათთვის ძალიან საინტერესო გამოცდილება იყო.
ექსპერტმა საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია სასწავლო კურსების: 1. ტერორიზმი, კიბერ-უსაფრთხოება და მომავლის სახელმწიფო, 2. მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკური გეოგრაფია, 3. შესავალი საჯარო ადმინისტრირებაში, 4. საჯარო პოლიტიკა და 5. ფრანგული ენის (A1; A2.1; A2.2; B1.1; B1.2) სილაბუსებში დასკვნითი შეფასების უფრო დეტალური კრიტერიუმების განსაზღვრა, რათა შეფასების პროცესი მეტად ობიექტური და ვალიდური იყოს. აღნიშნულ სილაბუსებში დღეის მდგომარეობით დასკვნითი შეფასების კრიტერიუმები ჩაშლილია 10 ქულიანი დიაპაზონით (40-31ქულა; 30-21 ქულა; 20-11 ქულა; 10-1 ქულა; 0-ქულა);
- სწავლის შედეგების უკეთ მიღწევის მიზნით პოლიტიკის მეცნიერების კომპონენტში პროგრამას დაემატოს სავალდებულო სასწავლო კურსი პოლიტიკური ფილოსოფიის (ანტიკურიდან თანამედროვე ეპოქამდე) შესახებ.
- რეკომენდირებულია უსდ-მ პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის უზრუნველყოს კურიკულუმის მიღმა ღონისძიებების ორგანიზება და მათში სტუდენტთა ჩართვა (მაგალითად: ადგილობრივი სტუდენტური კონფერენციების გამართვა, კვლევით პროექტებში სტუდენტების ჩართვა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სხვა შემეცნებითი აქტივობებისა და ღონისძიებების ორგანიზება).
- აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მიუხედავად უნივერსიტეტის მზაობისა, მაქსიმალურად იყოს სხვადასხვა საუნივერსიტეტო მასშტაბის ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართული, კარგი იქნება, თუ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი და უფრო კონკრეტულად პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა, უფრო მეტად იქნება ჩართული საერთაშორისო პროცესებში, რაც გულისხმობს სტუდენტთა და აკადემიური, თუ ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის, ტრენინგებისა და საერთაშორისო აქტივობებში ჩართვას; უნივერსიტეტში მეტი გაცვლითი პროგრამის არსებობას; მეტ უცხოურ უსდ-სთან კავშირსა და თანამშრომლობას; სტუდენტებისთვის საერთაშორისო პროექტების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდებას. ექსპერტების ღრმა რწმენით, ყოველივე ეს უფრო მეტად

განავითარებს სტუდენტების შესაძლებლობებს და მეტად ხარისხიანს გახდის საგანმანათლებლო პროგრამას რეკომენდირებულია უსდ-მ უზრუნველყოს პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალისთვის შეფასების თანამედროვე ფორმებისა და მეთოდების შესახებ ტრენინგების ორგანიზება.

- ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ უნდა გაძლიერდეს საბაკალავრო პროგრამის პოლიტიკის მეცნიერებების ნაწილი, როგორც სპეციალობის დისციპლინების ასევე აკადემიური პერსონალის კუთხით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ეკატერინე ქრისტესაშვილმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებდა ექსპერტთა მოსაზრებას და აღნიშნულ ტექნიკურ საკითხს გამოასწორებდნენ.

მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროსვე ითქვა, რომ მათ აღნიშნული საკითხი განხილული ჰქონდათ სკოლის საბჭოსთან, რომელიც უძღოდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტს და მაშინაც იდგა აღნიშნული საკითხი, თუმცა ვერ მოესწრო აღნიშნული კურსის შემუშავება, რომელიც მოცემული დროისათვის შესრულებული იყო და პროგრამას ჰყავდა უცხოელი კოლეგა ამ მიმართულებით. მასთან თანამშრომლობით შემუშავდა ახალი სასწავლო კურსი, რომელიც შემოდგომის სემესტრში გაიხსნებოდა.

მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება მუდმივად ზრუნავდა კურიკულუმს მიღმა აქტივობებზე, ჰქონდა კონკრეტული იდეები და გეგმავენ, რომ უნივერსიტეტის გრანტიც მოიპოვებინათ.

კვლევის კომპონენტის გაძლიერებას დაწესებულება, რა თქმა უნდა იზიარებდა.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ეკატერინე აზარაშვილმა მიმართა პროფესორ, ვლადიმერ ლუარსაბიშვილს, რომ დაეფიქსირებინა მოსაზრება სტუდენტების კვლევით აქტივობებში ჩართულობასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კვლევითი კომპონენტის განვითარებას. ამ თვალსაზრისით გასულ წელს მოიპოვეს შიდასაუნივერსიტეტო გრანტი, რომლის საფუძველზე მოახდინეს, რამდენიმე ესპანური, ერთი ამერიკული და ერთი პოლონური უნივერსიტეტის რამდენიმე მკვლევარის მოწვევა, მრგვალი მაგიდის ჩატარება და მონოგრაფიის სახით გამოსცეს სამუშაო სტატიები, რომლებიც საფუძვლად დაედო რამდენიმე სალექციო კურსს. ამასთან, მიმდინარე წელს მიიღეს ორი ახალი ERASMUS-ის პროექტი, ერთი მადრიდის ავტონომიურ უნივერსიტეტთან, სადაც თავად დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, და მეორე, კასტილია ლა მანჩის უნივერსიტეტთან, რაც საშუალებას მისცემდათ ორი წლის განმავლობაში ორ-ორი სტუდენტი და ოთხი აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალი გაეგზავნათ ამ ორ უნივერსიტეტში, ასევე მიეღოთ ოთხი სხვადასხვა საფეხურის სტუდენტი დასახელებული უნივერსიტეტებიდან. დაწესებულება მუდმივად ცდილობდა სტუდენტებისთვის აეხსნა კვლევის მნიშვნელობა. პროგრამას ჰქონდა კიდევ ერთი ახალი ხელშეკრულება ბრილის გამომცემლობასთან და აპირებდნენ ერთ-ერთი ფილოსოფიური კრებულის ხელმოწერასა და მომავალ წელს გამოცემას. რამდენიმე პროექტი არსებობს და მუდმივად ცდილობენ მაქსიმალურად ჩაერთოთ სტუდენტები ამ პროცესში, რადგან კვლევა მხოლოდ მკვლევარებით ცალმხრივი და შინაარსისგან დაცლილი იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ეკატერინე აზარაშვილმა გაცვლით პროექტებთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე აღნიშნა, რომ დაწესებულებას ბოლო პერიოდში ურთიერთობა ჰქონდა სხვადასხვა უნივერსიტეტებთან, მაგ., ლატვიის უნივერსიტეტთან და პასაოს უნივერსიტეტთან. გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა როგორც სტუდენტების და ისე აკადემიური პერსონალის მობილობას. თანამშრომლობდნენ კატანის უნივერსიტეტთან და ახლაც სწორედ მობილობის ხელშეკრულებას აწერენ ხელს, რომ შემდეგი სემესტრისთვის დაეგეგმათ სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობა. ასევე ლატვიის უნივერსიტეტთან, კატანიისა და პასაოს უნივერსიტეტთან, სადაც პოლიტიკის მიმართულების პროგრამები, ჰქონდათ - თანამშრომლობა შემდგარი იყო. თუმცა, პროგრამაში იკითხებოდა ისეთი კურსებიც, რომლებიც სხვა გაცვლითი პროგრამების შემთხვევაშიც შესაძლოა ამოქმედებულიყო, მაგ., პოლიტიკის პროგრამის სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ მობილობით წასულიყვნენ ვილდაუს უნივერსიტეტში, ზაარლანდის უნივერსიტეტში, რომლებთანაც უნივერსიტეტს ჰქონდა ხელშეკრულებები.

ბოლო რეკომენდაციასთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტება სთხოვა ექსპერტს, ნინო ფავლენიშვილს.

ექსპერტმა, ნინო ფავლენიშვილმა განმარტა, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეების და სასწავლო კურსების შესწავლის შემდეგ დარჩათ შთაბეჭდილება, რომ საერთაშორისო ურთიერთობების ნაწილი სერიოზული აკადემიური პერსონალით იყო წარმოდგენილი, ხოლო პოლიტიკის მეცნიერების ნაწილიც უნდა გაძლიერებულიყო.
ექსპერტმა, ნიკა გიგაურმა დამატებით განმარტა, რომ როგორც აკრედიტაციის ვიზიტის დროს ინტერვიუების დროსაც იყო საუბარი, პროგრამაში საჭირო იყო ისეთი საგნები და კონცენტრაციები, რაც პოლიტიკის მეცნიერებების დარგის სპეციფიკას სრულად მოიცავდა. მაგ., საქართველოს პოლიტიკური სისტემიპოლიტიკური პარტიების და საარჩევნო სისტემები, უმჯობესი იქნებოდა სავალდებულო ყოფილიყო. მიზანშეწონილი იყო პოლიტიკური ფილოსოფიის კონცენტრაციის, პოლიტიკური თეორიებისს ნაწილის გაძლიერება.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სჯობდა კონკრეტულად გაწერილიყო ექსპერტთა რეკომენდაციაში, რა სასწავლო კურსების დამატებას გულისხმობდა ექსპერტთა ჯგუფი, ამასთან იგი თვლიდა, რომ სხვადასხვა უნივერსიტეტში არსებული პოლიტიკასთან დაკავშირებული ყველა პროგრამა ერთნაირი არ უნდა ყოფილიყო.

რაზეც ექსპერტმა, ნიკა გიგაურმა განმარტა, რომ საუბარი იყო დარგის სპეციფიკაზე, მის შინაარსზე და სწავლის შედეგებზე, რაზეც უნდა გასულიყო პროგრამა.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ გაეცნო პროგრამის სილაბუსებს და არ იყო მხოლოდ ქართული პარადიგმებით შეზღუდული, არც უნდა ყოფილიყო. სწორედ, რომ განზოგადებული იყო საკითხები.

ექსპერტმა, ნინო ფავლენიშვილმა განმარტა, რომ საუბარია სავალდებულო კურსების დამატებაზე. ექსპერტთა რეკომენდაცია გულისხმოდა, რომ უნდა დალაგდეს პროგრამა, განისაზღვროს სავალდებულო და არჩევითი საგნები ისე, რომ სავალდებულო საგნები იყოს ფუნდამენტი, რაზეც უნდა დაშენდეს არჩევითი კურსებით. მაგალითად, სტუდენტმა ჯერ უნდა იცოდეს რა არის ევროკავშირი და შემდეგ ევროინტეგრაცის შესახებ გაიაროს სასწავლო კურსი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ნინო დობორჯგინიძემ განაცხადა, რომ ჰქონდა რამდენიმე საკითხი ზოგიერთ სასწავლო კურსთან დაკავშირებით, „ფილოსოფიის შესავალი“ რომელიც ზოგად მოდულში ისწავლებოდა და „მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია“, სხვადასხვა ავტორი კითხულობდა, თუმცა აბსოლუტურად ერთიდაიგივე სილაბუსი, ერთი წიგნით ისწავლებოდა და ერთი და იგივე საკითხები, მხოლოდ I, II და III თემა განსხვავდებოდა. მეორე საგანთან დაკავშირებით, „კრიტიკული აზროვნება და ლოგიკა“ დაინტერესდა, რადგან სასწავლო კურსის მიზნებში წერია, რომ „სტუდენტები დაეუფლებიან ყოვლისმომცველ ან/და სპეციალურ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას ლოგიკისა და კრიტიკული აზროვნების თეორიებისა და პრაქტიკული უნარების შესახებ და ა.შ.“, ლექციებში გაწერილ თემებში კი გაწერილია გაი სორმანის წიგნის კითხვა, პირდაპირ წერია „კრიტიკული აზროვნების უნარების ღია განხილვა გაი სორმანის კრებულიდან“, მესამე ლექციაა - „სორმანის ნაწარმოების განხილვის გაგრძელება“, მეოთხე ლექციაზე - „სორმანის ნაწარმოების განხილვის დასრულება“, სამი ნაწარმოებია შერჩეული და ესენია : გაი სორმანის (Guy Sorman) ნაშრომების კრებული გლობალიზაციის შესახებ, „საზოგადოების დესკოლიზაცია“ და "ღმერთების მცენარეები", შეიძლებოდა ამ საგნის სახელწოდება ყოფილიყო „კრიტიკული კითხვა“ და ამ შემთხვევაში შესაძლებლი იყო განხილული ყოფილიყო სამი ნაწარმოები. მაგრამ, როდესაც წერია, რომ ლოგიკისა და კრიტიკული აზროვნების თეორიებსა და მოძღვრებებს სწავლობს სტუდენტი, მაშინ არ შეესაბამებოდა შინაარსს.

18:37 საათზე საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი ირმა წერეთელი.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ როგორც ჩანს საბჭოს მიწოდებული ჰქონდა სილაბუსების პაკეტის პირველადი ვარიანტი, თუმცა დაწესებულებამ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტამდე დადგენილ ვადებში გამოსწორებული დოკუმენტაცია წარმოადგინა ცენტრში, სადაც ყველა ტექნიკური უზუსტობა აღმოფხვრილი იყო. შესაბამისად, სააკრედიტაციო პროგრამაში ის უზუსტობები, რაც საბჭოს წევრმა, ნინო დობორჯგინიძემ არნიშნა, აღმოფხვრილი და გასწორებული იყო.

საბჭოს წევრი, დიმიტრი გეგენავა დაინტერესდა, კურიკულუმში მითითებული საერთაშორისო სამართლის კურსით, რომელიც მითითებული იყო „მაინორად“. რამდენად იყო შესაძლებელი, სამართალი, რეგულირებადი პროგრამა ყოფილიყო დამატებითი სპეციალობა.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ორი დამატებითი სპეციალობიდან სტუდენტს შეეძლო ერთ-ერთის არჩევა, 30 კრედიტის ფარგლებში.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი გეგენავამ განმარტა, რომ დამატებითი სპეციალობა აისახებოდა პროგრამის შედეგებში და შესაბამისად აისახებოდა კვალიფიკაციაშიც. სამართლს დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით, ასახვა კვალიფიკაციაში სამართლის ასახვა, შესაძლებელი იყო, მაგრამ უნდა ყოფილიყო დადგენილი ლიმიტები. ასე იყო წინა დარგობრივ მახასიათებლითაც და ახალითაც. ამიტომ დაინტერესდა, რამდენად შეიძლებოდა ყოფილიყო სამართალი და რეგულირებადი პროფესია დამატებითი სპეციალობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საინტერესესო იქნებოდა მათთვის განსხვავებული აზრის მოსმენა. დამატებითი სპეციალობის ჩასმა პროგრამაში ხდებოდა შესაბამისი წესების დაცვით. დაწესებულება სამართლის პროგრამას ახორციელებდა როგორც „ძირითად სპეციალობას“ უმაღესი განათლების სამივე დონეზე და იყო აკრედიტებული.

ექსპერტმა, ნინო ფავლენიშვილმა განაცხადა, ექსპერტთა ჯგუფს რჩევებშიც იყო აღნიშნული და ექსპერტებიც დაინტერესდნენ ამ საკითხით.

დიმიტრი გეგენავა სამართლის დარგის დამატებითი სპეციალობის შედგენის შესაძლებლობებზე და სთხოვა ცენტრის წარმომადგენლებს კონსულტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ შესაძლებელი იყო დამატებით სპეციალობად რეგულირებადი სპეციალობის განსაზღვრა, თუმცა ამის შედეგად სტუდენტი რეგულირებად პროფესიაში ვერ შევიდოდა, ვერ გახდებოდა იურისტი, ადვოკატი. უბრალოდ გაუფართოვებდა ხედვას სამართლის სფეროში.

ექსპერტმა, ნიკა გიგაურმა განმარტა, რომ ეს იყო თავისუფალი კრედიტების გახარჯვის მეთოდი, რომ სტუდენტებს საკუთარი ინტერესის შესაბამისად აერჩიათ თავისუფალი კრედიტები ან დამატებითი სპეციალობა.

ცენტრის წარმომადგენელმა, ლაშა მარგიშვილმა განაცხადა, რომ ვინაიდან ამ შემთხვევაში დამატებითი სპეციალობა არ ანიჭებდა პირს რეგულირებად პროფესიაში შესვლის უფლებას, ცენტრი ვერ ხედავდა წინააღმდეგობას ვერც დარგობრივ მახასიათებელთან და ვერც სამართლებრივ ჩარჩოსთან დაკავშირებით, რაც ამ სფეროში მოქმედებდა. ეს რომ ანიჭებდეს პირს უფლებას გავიდეს საადვოკატო ან სამოსამართლეო გამოცდაზე, ან გამხდარიყო ნოტარიუსი, ამ შემთხვევში იქნებოდა პრობლემა.

ექსპერტმა, ნინო ფავლენიშვილმა აღნიშნა, რომ სტუდენტებთან ინტერვუებიდან გამომდინარე, დაწესებულება იმდენ საგნებს სთავაზობს სტუდენტებს პროფილის მიხედვით, რომ მათ არ აქვთ აუცილებლობა სამართალზე ან ბიზნესზე გადავიდნენ, მათ აქვთ ამის შესაძლებლობა სურვილის მიეხედვით, თუმცა ყველა სტუდენტმა აღნიშნა, რომ ირჩევენ პოლიტიკის ან საერთაშორისო ურთიერთობების საგნებს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:59
დასრულების დრო: 19:10

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება:

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, 22 სექტემბრის ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის მე-3 და მე-4 სტანდარტები ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:

- რეკომენდირებულია სასწავლო კურსების: 1. ტერორიზმი, კიბერ-უსაფრთხოება დამომავლის სახელმწიფო, 2. მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკური გეოგრაფია, 3. შესავალი საჯარო ადმინისტრირებაში, 4. საჯარო პოლიტიკა და 5. ფრანგული ენის (A1; A2.1; A2.2; B1.1; B1.2) სილაბუსებში დასკვნითი შეფასების უფრო დეტალური კრიტერიუმების განსაზღვრა, რათა შეფასების პროცესი მეტად ობიექტური და ვალიდური იყოს. აღნიშნულ სილაბუსებში დღეის მდგომარეობით დასკვნითი შეფასების კრიტერიუმები ჩაშლილია 10 ქულიანი დიაპაზონით (40-31ქულა; 30-21 ქულა; 20-11 ქულა; 10-1 ქულა; 0-ქულა);
- სწავლის შედეგების უკეთ მიღწევის მიზნით პოლიტიკის მეცნიერების კომპონენტში პროგრამას დაემატოს სავალდებულო სასწავლო კურსი პოლიტიკური ფილოსოფიის (ანტიკურიდან თანამედროვე ეპოქამდე) შესახებ.

რჩევებში გადავიდა შემდეგი რეკომენდაციები:

- უსდ-მ პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის უზრუნველყოს კურიკულუმის მიღმა ღონისძიებების ორგანიზება და მათში სტუდენტთა ჩართვა (მაგალითად: ადგილობრივი სტუდენტური კონფერენციების გამართვა, კვლევით პროექტებში სტუდენტების ჩართვა და პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სხვა შემეცნებითი აქტივობებისა და ღონისძიებების ორგანიზება).
- მიუხედავად უნივერსიტეტის მზაობისა, მაქსიმალურად იყოს სხვადასხვა საუნივერსიტეტო მასშტაბის ინტერნაციონალიზაციის პროცესში ჩართული, კარგი იქნება, თუ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი და უფრო კონკრეტულად პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა, უფრო მეტად იქნება ჩართული საერთაშორისო პროცესებში, რაც გულისხმობს სტუდენტთა და აკადემიური, თუ ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის, ტრენინგებისა და საერთაშორისო აქტივობებში ჩართვას; უნივერსიტეტში მეტი გაცვლითი პროგრამის არსებობას; მეტ უცხოურ უსდ-სთან კავშირსა და თანამშრომლობას; სტუდენტებისთვის საერთაშორისო პროექტების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდებას. ყოველივე ეს უფრო მეტად განავითარებს სტუდენტების შესაძლებლობებს და მეტად ხარისხიანს გახდის საგანმანათლებლო პროგრამას რეკომენდირებულია უსდ-მ უზრუნველყოს პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალისთვის შეფასების თანამედროვე ფორმებისა და მეთოდების შესახებ ტრენინგების ორგანიზება.
- გაძლიერდეს საბაკალავრო პროგრამის პოლიტიკის მეცნიერებების ნაწილი, როგორც სპეციალობის დისციპლინების ასევე აკადემიური პერსონალის კუთხით.

გადაწყვეტილება:

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011

წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „პოლიტიკის მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 9 თვეში ანგარიშის წარმოდგენით.

19:15 საათზე სხდომა დატოვა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლიბურდულმა.

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ემუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა საბჭ ოს თავმჯდომარის მოადგილე დიმიტრი გეგენავა.

3. მესამე საკითხი: ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „განათლების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	განათლება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	---
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	---
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	---
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	განათლების მეცნიერებების დოქტორი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	---
9	სწავლების ენა	ინგლისური
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
11	განხორციელების ადგილი	ევგენი მიქელაძის ქუჩა1 ა, 0159, თბილისი, საქართველო
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	---

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

ü არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

ü არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა განაცხადა, რომ ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 26 ივნისს „Zoom"-ის საშუალებით და დღის წესრიგის მიხედვით მიმდინარეობდა. შემოწმდა განათლების სადოქტორო პროგრამა. მან საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები, რაც ექსპერტთა მოსაზრებით ხელს შეუწყობდა პროგრამის განვითარებას:

- გადაიხედოს პროგრამის მიზნები და მკაფიოდ გამოიკვეთოს კავშირი განათლების მეცნიერებების კვლევებისა და განვითარების მიმართულებით;
- რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების როგორც შინაარსობრივი, ისე ფორმალური თვალსაზრისით ახალ მარეგულირებელთან მოვიდეს შესაბამისობაში;
- რეკომენდებულია სასწავლო კურსები გადაიხედოს პედაგოგიკის მეცნიერების თემატიკით გამდიდრების თვალსაზრისით;
- რეკომენდებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს ინგლისური ენის ცოდნის დონე B2 ზე მეტით, ამასთან, დაშვების წინაპირობად განესაზღვროს დარგში მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი/პროფესიული გამოცდილება/პუბლიკაცია;
- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა გადახედოს პროგრამაში არსებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტის კრედიტების განაწილების სტუქტურას და მოცულობას;
- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა შესაბამისობაში მოიყვანოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებასთან;
- რეკომენდებულია ნიუ-ვიჟენ უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებას დაემატოს, დოქტორანტის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის კომპეტენციების, დისერტაციის ფორმატის და სტილის შესახებ ინფორმაცია;
- რეკომენდებულია სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელის სპეციფიკაციაში აღინიშნოს სადისერტაციო თემატიკასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი უახლესი პუბლიკაციები მაღალრეიტინგულ სამეცნიერო გამოცემებში;
- რეკომენდებულია დაზუსტდეს და განისაზღვროს საკვალიფიკაციო ნაშრომის ოფიციალური შემფასებლების კვალიფიკაცია და სამეცნიერო-კვლევითი მიმართება დისერტანტის საკვლევ საკითხთან;
- რეკომენდებულია წარმოდგენილი პროგრამისათვის გამოცხადებული აკადემიური კონკურსისთვის აკადემიური პერსონალის შერჩევის კრიტერიუმების დახვეწა და განათლების მეცნიერებების დარგის სპეციფიკაციასთან მორგება;
- პროგრამის პერსონალის მდგრადობის უზრუნველყოფისათვის რეკომენდებულია დარგის შესაბამის სპეციალისტებთან აფილირებული ხელშეკრულებების გაფორმება;
- მნიშვნელოვანია მკაფიოდ გაიწეროს განათლების მეცნიერებების მიმართულებით აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების კონკრეტული სამოქმედო გეგმა, რაც პერსონალის კვლევითი-სამეცნიერო საქმიანობის განვითარების საკმაოდ რთულ მისიას მეტ-ნაკლებად მიღწევადს გახდის;

- მნიშვნელოვანია დაწესებულებამ ბიუჯეტის დაგეგმვაში აჩვენოს სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად კომპიუტერული ტექნიკის, ინვენტარის, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და კომუნალური დანახარჯები, რაც რეალურად ბიუჯეტის დაკორექტირების საჭიროების წინაშე დააყენებს მას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით კერესელიძემ, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული სამუშაოსათვის, ყოველთვის ღირებული იყო განსხვავებული აზრის მოსმენა. მისი აზრით, სხდომა საკმაოდ არაორდინალური იყო და წინასწარ გასაგები იყო საბჭოს გადაწყვეტილება პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებით. აკრედიტაციის მინიჭების შემთხვევაში მისი ხელმძღვანელი იქნებოდა - პასი სოლბერგი, რომელიც ფინეთის განათლების ყოფილი მინისტრის მოადგილე იყო და ფინეთის რეფორმების ერთ-ერთი თანაავტორი. ასევე, პროგრამის ხელმძღვანელი იყო დეივიდ რაილი, რომელიც ამერიკაში მასწავლებლის გადამზადების პროგრამის ორგანიზატორი, ინიციატორი და თანამედროვე სახის მიმცემი იყო. ამ პროგრამაში ჩართული ადამიანების დიდ ნაწილს წარმოადგენდნენ ადამიანები, რომლებმაც საზღვარგარეთ მიიღეს დოქტორის კვალიფიკაცია და მოღვაწეობდნენ უცხოეთის უნივერსიტეტებში, რომელთა დაბრუნებაზე და საქართველოში გადმოსვლაზე იყო საუბარი. ეს იყო ზოგადი ინფორმაცია საბჭოსთვის, რომ ჰქონოდათ ინფორმაცია ვინც ვერ ერკვეოდა კარგად განათლების სისტემაში.

დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ დასკვნაში ეჭვქვეშაა დაყენებული მისი კომპეტენცია, რომ თითქოს დავით კერესელიძეს არ ჰქონდა პუბლიკაციები განათლების სფეროში. მიმართა სხდომის თავმჯდომარეს, თუ თავმოყვარეობა ეყოფოდა გაეკეთებინა კომენტარი, რამდენად შეიძლებოდა მისი წიგნები და სახელმძღვანელოები განათლების მეცნიერებებთან კავშირში არ მყოფად მიჩნეულიყო, სადაც საუბარი იყო ასევე სწავლების მეთოდებზე. დაწესებულების წარმომადგენელი დაინტერესებული იყო საბჭოს დასაბუთებული პოზიციით, რატომ არ უნდა ყოფილიყო სადოქტორო პროგრამა 180 კრედიტიანი. რადგან, როდესაც რაღაც იყო ერთი საფეხურით მაღალ დონეზე, უნდა ყოფილიყო ხელშეწყობილი, ნაცვლად ბრძოლისა. იმავეს თქმა შეიძლებოდა სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების სადოქტორო პროგრამაზეც, დაახლოებით 5-6 თანამედროვე ლაბორატორიის განვითარებას შეეშალა ხელი აკრედიტაციის არ მინიჭებით. მარტივად წარმოსადგენი რომ ყოფილიყო, ამერიკის შემდეგ გერმანიის სააქციო საზოგადოება „ცაისმა“ გერმანიის გარეთ მეორე კვლევითი ცენტრი გააკეთა და ეს იყო საქართველოში, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტში. საბჭოს შეეძლო ეამაყა მისი გადაწყვეტილებით, რადგან პროგრამაზე, რომელზეც შენიშვნა არ ყოფილა, საბჭომ მიიღო უარყოფითი გადაწყვეტილება.
დავით კერესელიძე ასევე გამოეხმაურა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას, სადაც საუბარი იყო B2 დონეზე უფრო მაღალი ცოდნის დონის მოთხოვნაზე უცხო ენაში. 10 წლის წინ, როდესაც დაიწყო მსჯელობა ამ საკითხზე, იყო ჩანაფიქრი უცხო ენის C1 დონის მოთხოვნაზე სადოქტორო დონეზე, თუმცა ნაადრევი აღმოჩნდა, რადგან B2 დონის ფლობის სერიოზული პრობლემაც იდგა. დაწესებულების წარმომადგენელი იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებას, რომ უცხო ენის ცოდნის B2 დონე არ იყო საკმარისი სამეცნიერო დონეზე სამეცნიერო მუშაობისათვის. თუმცა, ოპონენტების მოსაზრებით, როდესაც პირი B2 დონით მიდის და შემდეგ კვლევის პროცესში მუშაობს მას აქვს საშუალება გაიღრმავოს კომპეტენცია და თვისობრივად უფრო მაღალ საფეხურზე ავიდეს უცხო ენაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა მიმართა საბჭოს წევრებს, პროცესის გამჭვირვალობისთვის უკეთესი იქნებოდა თუ ამა თუ იმ სადაო საკითხთან დაკავშირებით გამართულიყო დისკუსია დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭოს სხდომის ოქმსა და გადაწყვეტილებებში აუცილებლად იქნებოდა დასაბუთებული თითოეულ პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება. მისთვის გასაგები იყო დაწესებულების გაღიზიანება, თუმცა, სწორედ იმ შემთხვევებისთვის, როდესაც დაწესებულებისა და საბჭოს პოზიციები არ ემთხვევა ერთმანეთს, არსებობდა გასაჩივრების ორგანო - სააპელაციო საბჭო. შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება შესაძლებელი იყო გასაჩივრებულიყო და თუ სააპელაციო საბჭო საჭიროდ ჩათვლიდა აკრედიტაციის საბჭოს ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნებდა საკითხს. აკრედიტაციის საბჭო კი ცდილობდა დაეცვა ერთგვაროვანი პრაქტიკა, კერძოდ, არ შეიძლება დისერტაციის ერთჯერადი შეფასების კომპონენტი იყოს ჩაშლილი და გადანაწილებული კრედიტების მიხედვით სემესტრულად. კრედიტები უნდა მინიჭებოდა ჯამში, ერთად და არა დისერტაციის რამდენჯერმე შეფასებით, როდესაც კრედიტების დანაწევრება/ფრაგმენტაცია ხდებოდა და თითოეულ კომპონენტზე ენიჭებოდა კრედიტები. ეს იყო საბჭოს ერთგვაროვანი პრაქტიკა რაც გამოყენებული იქნა არაერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პროგრამის მიმართ. ეს კი ბუნებრივია გამორიცხავდა მოსაზრებას, რომ კონკრეტულად ვინმეს წინააღმდეგი იყო საბჭო, ან ვინმეს ებრძოდა. მან ასევე განაცხადა, რომ დავით კერესელიძის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით ეჭვი არავის შეუტანია. დაწესებულების წარმომადგენელს ჰქონდა საკუთარი არგუმენტაცია, რისიც მას სწამდა და ეს არაფერ შუაში არ იყო მის კვალიფიკაციასთან.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მოუწოდა ექსპერტებისა და საბჭოს წევრების მიმართ გამოეჩინა მეტი პატივისცემა და გაეგრძელებინათ საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ სადოქტორო ნაშრომის მრავალჯერადი და დანაწევრებული შეფასების გამო რამდენიმე, მათ შორის მოქმედ პროგრამაზეც მოუწიათ აკრედიტაციაზე უარის თქმა. რადგან ერთჯერადი შეფასების არ არსებობა პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა კანონმდებლობას, რაც ეწინააღმდეგებოდა კანონმდებლობას იმას აკრედიტაციის საბჭო თავისი შეხედულებისამებრ ვერ განმარტავდა და კონტრარგუმენტაციას ვერ მიიღებდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ საბჭოს სხდომაზე პოლემიკაში არ შედიოდნენ მხარეები, არამედ კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა საკითხის განხილვა. პირველ რიგში მისი პოზიცია, როგორც საბჭოს ერთ-ერთი წევრის იყო, რომ აკადემიური საუბრები გულისხმობდა ერთმანეთის პატივისცემას, ეთიკურობას და აზრთა სხვადასხვაობის მისაღებობას. აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებითაც ჰქონდა იგივე კითხვა რაც პირველ შემთხვევაში, სემინარი, რომელიც იყო ცარიელი და საკვლევი მეთოდოლოგიის გარდა ამ პროგრამაში აზრობრივად, თემატურად რას ასწავლიდნენ არ ჩანდა. წინა პროგრამაზე დასმულ ამ კითხვაზე ახსოვს რა პასუხიც მიიღო და თუ იგივე ლოგიკა მოქმედებდა ამ შემთხვევაშიც მაშინ გასაგები იყო, თუმცა არ იყო დამაკმაყოფილებელი ამ კითხვასთან მიმართებით. პაატა ბრეკაშვილის მოსაზრებით დოქტორანტს უნდა სცოდნოდა რას სწავლობდა და პროგრამაში

უნდა ყოფილიყო აზრი, რა შედეგზე გადიოდა, თუ რაღაც იყო ინოვაციური, შესაძლებელი იყო დამატებოდა, მაგრამ არ შეიძლებოდა მთელი სემესტრი და მთელი საგანი წინა სემესტრში განსაზღვრულიყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით კერესელიძემ განაცხადა, რომ ასეთი სადოქტორო პროგრამები ძალიან ბევრ უნივერსიტეტს ჰქონდა საქართველოში და ეს სიახლე პირადად მისი შემოტანილია 2003 წელს. მას შემდეგ დამკვიდრდა ამ ტიპის სემინარები საქართველოს ბევრს უნივერსიტეტში, შესაბამისად, მისი მოსაზრებით ეს არ წარმოადგენდა ხარვეზს.

საბჭოს წევრმა, ნინო დობორჯგინიძემ განაცხადა, რომ არ შეჩერდება ერთჯერადი შეფასების საკითხზე, რადგან ეს განსაზღვრული იყო კანონმდებლობით, რომელიც მოქმედებდა ქვეყანაში, თუმცა თითოეულ დამსწრე პირს, შესაძლოა, სხვა ქვეყანაში სხვა კანონმდებლობით მიუღია განათლება, ან გაუზიარებიათ მათი პრაქტიკა. მისი კითხვა მიემართებოდა პროგრამის ხელმძღვანელებისკენ, მაგალითად სტუდენტი რომ აბარებს განათლების სადოქტორო პროგრამაზე, მისი მოლოდინი არის ზოგადად, კვლევის ტექნოლოგიის სწავლა, რასაც სილაბუსი, როგორც ამ პროგრამაში, ისე სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების პროგრამაში სთავაზობდა, არამედ უნდა ითვალისწინებდეს კვლევის მეთოდებს განათლებაში. კონსტრუქტივიზმმა ბიჰევიორიზმისგან განსხვავებით მოიტანა კონკრეტულ სტატიებზე დაყრდნობით, რომ სტუდენტმა შეძლოს მისი ანალოგის ან მისთვის შესაძლო სტატიის შექმნა. იგი დაინტერესდა რა იყო დარგობრივი ამ პროგრამაში, განათლებაზე მიბმული. სტუდენტმა უნდა იკვლიოს საქართველოში, საგანმანათლებლო სივრცეში ნებიმიერი საკითხი, რაც მას დააინტერესებს და როგორ უნდა იკვლიოს, რომელ ერთ კვლევის მეთოდს სთავაზობდა დაწესებულება, დარგობრივ შინაარსზე ორიენტირებულს.

დავით კერესელიძემ განაცხადა, რომ მიზანი იყო უნიკალური, რადგან ღირებულებები, რომლებიც აქვს უნივერსიტეტს მისი დანერგვის ხელშეწყობაა ამ პროგრამის მიზანიც ეს არის. დაახლოებით ოცამდე ღირებულებაა ჩამოთვლილი, რომლის გარშემოცაა უნივერსიტეტი გაერთიანებული და ამ პროგრამის უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ ისინი ამბობენ, რომ თუ ადამიანები იზიარებენ ამ ღირებულებებს განათლებაში, ისინი უნდა გახდნენ მათი გუნდის წევრები და წავიდნენ მათთან დოქტორანტურაზე. მიღებას აცხადებენ კოჰორტულად, ანუ კონკრეტულ მიმართულებებზე, მაგ., პასი სოლბერგის მიმართულება იყო დიგიტიზაცია საგანმანათლებლო სივრცეში, ის იყო ამის სპეციალისტი, ფინეთის განათლების რეფორმების თანაავტორი. ასევე აპირებდა საქართველოში გადმოსვლას, ანუ ეს ნიშნავდა ელექტრონული სისტემების დამკვიდრებას განათლებაში. შესაბამისად, დეივიდ რაილის მიმართულება იყო მასწავლებელთა გადამზადება, მასწავლებელთა განათლების კონტექსტში მოხდება იმის გააზრება, რა მეთოდებმა იმუშავა აშშ-ში, სხვა ქვეყნებში. ხოლო ქართველი მეცნიერები იკვლევენ იმას, მასწავლებელთა მომზადების რა ვერსიები შეიძლებოდა ყოფილიყო ქვეყანაში, ყველა მიმართულება რომ აქტუალური იყო, ამაზე თანხმდებოდნენ.

საბჭოს წევრმა, ნინო დობორჯგინიძემ აღნიშნა, რომ ეს ყველაფერი არ ჩანდა პროგრამაში. დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ კოჰორტული მიღება რომ იყო, პროგრამაში გარკვევით ეწერა, პროგრამის მიზნებში პირდაპირ ეწერა უნივერსიტეტის ღირებულებების დამკვიდრება და იყო ჩამონათვალი. მან ასევე აღნიშნა, რომ თავად არ იყო პროგრამის თანახელმძღვანელი, თუმცა იყო პროგრამაში ჩართული პირი. სამართლის სადოქტორო პროგრამას ჰყავდა სამი დოქტორანტი, რომლებიც წერენ დისერტაციას განათლების სამართალზე და კვლევის პროცესში დაინახეს, რომ კვლევა გადაიხარა განათლების მეცნიერებებისკენ. დაშორდა განათლების სამართალს, როგორც ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთ მიმართულებას და გადავიდა განათლების მეცნიერებებში. უპირატესად, ამან განაპირობა, რომ აკრედიტაციაზე შემოეტანათ განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა.

დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ მისი ინტერესს წარმოადგენდა როგორ ასწავლონ სამართალი და რა ფორმით შეიძლებოდა ეს გაკეთებულიყო უკეთ. დაწესებულებას აქვს ძალიან დიდი კონკურენტული უპირატესობა და მისი აზრით, ძალიან იშვიათი იყო დასავლურ კულტურაში ისეთი მჭიდროდ დაკავშირებული ორი სკოლა, როგორიც მათ უნივერსიტეტშია მედიცინა და სამართალი, სადაც აქვთ მეთოდების გაცვლა, ბევრი მეთოდი მედიცინიდან გადაიტანეს სამართალში და ზოგი მეთოდი სამართლიდან გადაიტანეს მედიცინაში. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თავად მას რამდენიმე წლის წინ, მედიცინის საერთაშორისო კონფერენციაზე, სადაც დაახლოებით ხუთი ათასი მონაწილე იყო, გააკეთა მოხსენება, როგორ შეიძლებოდა სპირალური კურიკულუმის მოდელი მუშავებულიყო ინტერდისციპლინურ კონტექსტში. ამ სფეროთი პირადად იყო დაკავებული. სამართლის სწავლების მეთოდებზე წიგნიც აქვს გამოცემული. მისი ბოლო პუბლიკაცია ეხებოდა ინკლუზიურობას განათლებაში და ეძღვნებოდა იმას, რომ ინკლუზიურობა, სტუდენტზე ორიენტირებულობა და კიდევ ბევრი სხვა ტერმინი ზედმეტი გახდა განათლებაში, რადგან თვითონ ტერმინი განათლება აერთიანებდა ამ ყველაფერს თავის თავში. თუმცა, კონცენტრირებული იყო სამართლის სწავლების მეთოდიკაზე, ანუ როგორ შეიძლება გაკეთდე ეს უკეთ. პროგრამის მიმართულებებს წარმოადგენდა, ის რაც მათ იცოდნენ: დიგიტიზაცია, მასწავლებლის გადამზადება, სამართლის სწავლების მეთოდები, მედიცინის სწავლების მეთოდები. ამ მიმართულებებში დაწესებულებას ძლიერი ადამიანური რესურსი ჰქონდა საერთაშორისო მასშტაბით. პროფესორების 40% იყო ინგლისიდან და გერმანიიდან. ამიტომ ჰქონდათ პრეტენზია, გლობალური მასშტაბზე გასულიყვნენ კვლევებში. დაწესებულების წარმომადგენელმა, ეკატერინე აზარაშვილს სთხოვა თვალსაჩინოებისათვის გაეხსნა „basic tools for phd research“ სილაბუსი და ენახა მეთოდები არის თუ არა წარმოდგენილი, რადგან სილაბუსის შინაარსს ამდენად ზედმიწევნით არ იცნობდა.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა აღნიშნა, რომ რასაც დაწესებულების წარმომადგენელი საუბრობდა, ძალიან საინტერესოდ ჟღერდა. კარგი იქნება, ყველაფერი გაწერილი ყოფილიყო კურიკულუმში, რადგან იქ ეს ყველაფერი არ იკითხებოდა. მით უმეტეს, ეს იყო ახალი პროგრამა და საბჭო გადაწყვეტილებას იღებდა იმის მიხედვით რასაც დოკუმენტებიდან ამოიკითხავდა.

დავით კერესელიძემ განაცხადა, რომ თვითშეფასებაშიც დეტალურად იყო აღნიშნული ეს საკითხები, მათ შორის კოჰორტების მიღებაზე, რომ ეს იქნებოდა მიღების დროს დაზუსტებული. ეს იყო პროგრამის თანახელმძღვანელების პოზიცია და როგორც თავად ინფორმაცია ჰქონდა ეს ყველაფერი თვითშეფასებიდან ნათელი უნდა ყოფილიყო, თუ ასე არ იყო, სამწუხაროა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა, განმარტა, რომ რეკომენდაცია პროგრამაში ჩართული პირების კვალიფიკაციასთან დაკავშირებით, არ ეხებოდა დავით კერესელიძეს, არამედ ენის სწავლების მეთოდების კუთხით, რაც არ იყო საკმარისი განათლების მიმართულებით.

დავით კერესელიძემ მეტი თვალსაჩინოებისთვის საბჭოს გაუზიარა ეკრანი და სილაბუსი „basic tools for phd research“ სილაბუსი და მან განაცხადა, რომ პირველი კვირის მასალაში კარგად ჩანდა საკითხავი მასალა, სადაც კარგად ჩანდა რომელი ავტორების რა ნაშრომები იყო მოცემული:

- Swales, J. M., & Feak, C. B. (2012). Academic writing for graduate students: Essential tasks and skills. Ann Arbor, Mich: University of Michigan Press; Unit 1, pp. 2-53;

- Fraenkel, J. k., Wallen, N. E., & Hyun, H. H. (2012). How to Design and Evaluate Research in Education(8 ed.). New York: McGraw-Hill;
- Johnson B. & Christensen L. (2008). Educational Research. Qualitative, Quantitative and Mixed Approaches;
- Amy E. Sloan, Basic Legal Research (Tools and Strategies), 3rdedition, Kluwer/Aspen (New York), 2006, 1-21.

მან ასევე განმარტა, რომ სხვადასხვა საკითხებზე სხვადასხვა ავტორები იყო. მეორე კვირასთან მიმართებით იყო:

- Bell, J. (2010). Doing Your Research Project (5 ed.). Maidenhead: Open University Press. Chapters 5-6, pp: 82-114;
- Creswell, J. W. (2014). Research Design: Qualitative, Quantitative, and Mixed Methods Approaches. Thousand Oaks: SAGE Publications, Inc. Chapter 2, pp: 57-81. (ebook);
- Amy E. Sloan, Basic Legal Research (Tools and Strategies), 2006, 23-27.

წარმოდგნილია სახელმძღვანელოები, რომლებიც ებმებოდა კვლევით პროექტს, Basic Legal Research-ს და სხვა, შესაძლებელი იყო მიყოლოდნენ ყოველი კვირის მასალას. მაგ.: Establishing validity and reliability და Variables and hypotheses, სადაც იყო 4 ალტერნატიული წყარო, რომელთაგან ერთ-ერთი არის: How to Design and Evaluate Research in Education:

- Cohen, L., Manion, L., & Morrison, K. (2007). Research Methods in Education(6 ed.). London: Routledge. Chapter 6, PP: 133-166;
- Fraenkel, J. k., Wallen, N. E., & Hyun, H. H. (2012). How to Design and Evaluate Research in Education(8 ed.). New York: McGraw-Hill. Chapter 5, PP: 75-89

იყო საკითხი: Writing Introduction Chapter of the Research, რომელშიც საუბარი იყო:

- Swales, J. M., & Feak, C. B. (2012). Academic writing for graduate students: Essential tasks and skills. Ann Arbor, Mich: University of Michigan Press. Chapter 7, pp;
- Boudah, Daniel J. (2011). Conducting Educational Research. Guide to Completing a Major Project. Sage.

საუბარი იყო ასევე მონაცემების შეგროვებაზე, რაოდენობრივი და შერეული კვლევის შედეგების ანალიზი (Data Analysis in Qualitative and Mixed Research)-ზე, შესაბამისად კვირების მიხედვით მიყვება და არის შესაძლებლობა, რომ გარკვეული ზოგადი წარმოდგენა ამ მიმართულებთ ყოფილიყო.

საბჭოს წევრმა, ნინო დობორჯგინიძემ განაცხადა, რომ ეს იყო ზოგადი კვლევის მეთოდები და საერთო იყო, როგორც განათლებისთვის, ასევე სხვა დარგებისთვის და ამაზე არავინ დაობდა.

დავით კერესელიძემ განაცხადა, რომ რაკი დოქტორანტურის პროგრამაზე იყო საუბარი, მოიაზრებოდა, რომ თითოეულს ექნება თავისი დამატებითი საკითხავი მასალა, რომ

გაიღრმავონ ცოდნა და კვლევითი კომპონენტი, რომელშიც დაადანაშაულეს, რომ ორჯერადი შეფასება ხდებოდა, იქაც უშუალოდ ხელმძღვანელის მიერ კეთდებოდა მითითებები თუ იმ კონკრეტულ სემესტრში რა უნდა გაეკეთებინა დოქტორანტს. კვლევის ერთჯერადობა დაცული იყო, ყველა შემთხვევაში ერთჯერადი იყო შეფასება. დაწესებულების წარმომადგენელმა სადისერტაციო საბჭოს დებულებიდან ამონარიდი გააცნო საბჭოს:
მუხლი 4. პუნქტი 4
სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობებია:
ა) საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების დაძლევა;
ბ) ხელმძღვანელის რეკომენდაცია ნაშრომის საჯარო განხილვაზე დასაშვებად;
გ) სადისერტაციო საბჭოს მიერ დანიშნული ორი შემფასებლის დადებითი შეფასება, (თითოეულის ცალ-ცალკე უნდა იყოს 60 ქულის 50 %-ზე მეტი).

სადაც ჩანს, რომ საბჭოს მიერ ინიშნება 2 შემფასებელი, რომელიც ნაშრომს აფასებს 60 ქულის ფარგლებში, საიდანაც 50% არის დადებითი შეფასება, შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ შემფასებლების შეფასება განსხვავდება 15 ქულაზე მეტით, ინიშნება მე-3 შემფასებელი, ანუ თუ ორივეს შეფასება დადებითია და განსხვავებაა 15 ქულაზე მეტი, საბოლოოდ ეს შეფასებები იძლევა დადებით შეფასებას და ინიშნება დისპუტაცია, დაცვა. წინააღმდეგ შემთხვევაში ხდება დამატებითი ვადის განსაზღვრა გამოსასწორებლად. რაც შეეხება დისერტაციას, როდესაც იქმნება კომისია, პირდაპირ წერია პროცედურები რა ხდება, რაც ნაცნობია ყველასთვის რადგან ბევრ უნივერსიტეტში არის მსგავსი და შეფასება ამ ნაწილში მოცემულია რა სახით ხდება, ფასდება ნაშრომის შეფასებისგან დამოუკიდებლად ეს კომპონენტი 40 ქულის ფარგალში, 60+40=100, რაც ახლა სადავოა არის თუ არა ერთჯერადი, საიდანაც 50% უნდა იყოს ისევ დადებითი და ეს სტანდარტი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებაში არაერთ ქვეყანაში იყო:
6. დისერტაციის დაცვის შეფასება და საბოლოო შეფასების ფორმირება
1. დისერტაციის დაცვა ფასდება სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისაგან დამოუკიდებლად. დაცვის შეფასება უნდა იყოს 40 ქულის მინიმუმ 50 %. შესაბამისად, საბოლოო შეფასებაში სადისერტაციო ნაშრომის შეფასება აისახება 3/5, ხოლო დაცვის - 2/5 თანაფარდობით;
2. სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე სხდომის დასრულებისთანავე საჯაროდ აცხადებს დაცვის შეფასებასა და საბოლოო შეფასებას.
3. დისერტაცია არ ითვლება დაცულად, თუ საბოლოო შეფასება „არადამაკმაყოფილებლი“ (41-50 ქულა - insufficienter) ან „სრულიად არადამაკმაყოფილებლია“ (41 ქულაზე ნაკლები - sub omni canone).
4. დისერტაცია დაცულია, თუ საბოლოო შეფასებაა:
91-100 ქულა - ფრიადი (summa cum laude);
81-90 ქულა - ძალიან კარგი (magna cum laude);
71-80 ქულა - კარგი (cum laude);
61-70 ქულა - საშუალო (bene);
ან 51-60 ქულა - დამაკმაყოფილებელი (rite).
5. თუ დისერტაცია შეფასებულია „არადამაკმაყოფილებლად“ (41-50 ქულა), დისერტაციის ხელახლა წარდგენა და/ან დაცვის გამეორება შესაძლებელია მომდევნო 1 წლის განმავლობაში. დისერტანტის განცხადება განმეორებითი დაცვის თხოვნით წარედგინება სადისერტაციო საბჭოს.“

დაწესებულების წარმომადგენლის აზრით, დისერტაციის შეფასება, რომ ერთჯერადი იყო ამას არანაირად არ ეწინააღმდეგებოდა ის, რომ წერითი კომპონენტი 60%-ით შეფასდეს და 40%-ით დისპუტაცია, ეს არის საერთაშორისო სტანდარტი, რომელიც აპრობირებული იყო ძალიან ბევრ ქვეყანაში. ამის გამო, რომ არ მიეცეს პროგრამას აკრედიტაცია ცოტა უცნაური იქნებოდა. კრედიტებში ჩაშლა არ წარმოადგენდა მავნებლობას, ეს არ უშლიდას განათლების ხარისხს ხელს, თუ პირიქთ არა, რადგან დოქტორანტს 5-ჯერ აქვს საშუალება, 3-ჯერ ხელმძღვანელის

მითითებების შესაბამისად იმუშაონ კვლევაზე. ხუთი წლის შემდეგ კი არ ეტყვიან ადამიანს, რომ ვერ გავიდა სწავლის შედეგებზე, ყოველსემესტრულად აკონტროლებენ.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მას არასდროს შეუტანია ეჭვი დავით კერესელიძის კომპეტენციაში და არც მისი ხელმძღვანელობით დაცულ დისერტაციებში. იგი ეთანხმება იმაში, რომ სამმაგი და ხუთმაგი შემოწმება არაჩვეულებრივი იყო და ასეც უნდა ყოფილიყო, თუმცა არ უნდა ფასდებოდეს კრედიტით, არ უნდა ეძლეოდეს შესაბამისი კრედიტები, ეს ეწინააღმდეგებოდა ნორამტიული აქტის ფორმალურ მოთხოვნას. სხდომის თავმჯდომარემ განმარტა რომ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებაში ნათლად იყო გაწერილი ყველაფერი და კვლევითი კომპონენტის კრედიტებად ჩაშლა არ ივარაუდება და არც იკითხებოდა. მან აღნიშნა, რომ არამარტო ეს პროგრამა, არამედ წინაც და სხვა უნივერსიტეტების პროგრამებიც, რომლებმაც ვერ მიიღეს აკრედიტაცია, ენანებოდა იმის გამო, რომ ფორმალურ შესაბამისობას კანონმდებლობისას ვერ აკმაყოფილებდნენ. ამ დროს საუბარი არ იყო შინაარსობრივ ნაწილზე, პოტენციალზე და ინტიტუციურ ნდობაზე.

დავით კერესელიძე დაინტერესდა, რა იყო საჭირო ამ პრაქტიკის შესაცვლელად. სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ამ პრაქტიკის შეცვლას სჭირდებოდა მინისტრის ბრძანების სრულყოფა, რადგან კანონმდებლის ფუნქციაში გადასვლა შეუძლებელი იყო.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით, ზემოაღნიშნული ბრძანება საჭიროებდა ბევრი მიმართულებით კორექტირებას, განსაკუთრებით სადოქტორო პროგრამებთან მიმართებით, რადგან სადოქტორო პროგრამა არის კვლევითი პროგრამა და ეს უნდა ყოფილიყო უნივერსიტეტის იდეიდან და მისი მიზნების, ღირებულებებიდან გამომდინარე. იგი დარწმუნებული იყო, რომ სხდომის მონაწილე ბევრი ადამიანი იზიარებდა ამ პოზიციას და არაერთხელ გამოუხატავთ აღნიშნული პოზიცია. მეტიც, ეს იყო პროგრამის განმახორციელებელი უნივერსიტეტისადმი ნდობა, კარგი ხელმძღვანელობა და სწორი სადისერტაციო საბჭო, მეტი არაფერი. უბრალოდ ლოგიკა იმისა, რომ საწინააღმდეგოდ განიმარტოს მინისტრის ბრძანება ფიზიკურად არ არსებობდა. რატომ გახდა სავალდებულო ერთჯერადი შეფასება, პირდაპირი მნიშვნელობით სიტყვა-სიტყვით რატომ ჩაიწერა, რა მიზანს ემსახურებოდა, - იმას, რომ არ მომხდარიყო დოქტორანტურაში სადისერტაციო ნაშრომის ფრაგმენტაცია, კრედიტებად ჩაშლა და ცალ-ცალკე შეფასება.

დაწესებულების წარმომადგენელმა ეკატერინე აზარაშვილმა, ცენტრის მიმართა კითხვით, კანონის დარღვევა მხოლოდ მაშინ აღიქმებოდა, როდესაც აკრედიტაციის განაცხადი შემოდიოდა, თუ კანონის დაცვის ვალდებულება ჰქონდა ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებას.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ არ წარმოადგენდა ცენტრს, თუმცა კითხვაზე პასუხი ძალიან მარტივი იყო, რადგან აკრედიტაციის საბჭოს დისკრეციის ფარგლებში იყო მხოლოდ ის საკითხი რაც მათ სააკრედიტაციოდ გადაეცემოდათ.

დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ ნათელია არიან ჩიხში, თუ დარწმუნდებიან, რომ პროგრამა იმსახურებს აკრედიტაციას, მაინც ერთგვაროვანი სტანდარტიდან გამომდინარე, საბჭოს ვერ უმტკიცებენ, რომ ერთჯერადი შეფასებაა იმ ნორმებზე დაყრდნობით, რომელიც აჩვენეს, რადგან თუ ფორმალურად არის გაწერილი კვლევითი კომპონენტი კრედიტებში, ეს უკვე არის პრეზუმცია არაერთჯერადი შეფასების.

სხდომის თავმჯდომარე დაეთანხმა დაწესებულების წარმომადგენელს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 20:30
დასრულების დრო: 20:45

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის „განათლების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციაზე უარის თქმის საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, 22 სექტემბრის ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის პირველი სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ხოლო მე-2 სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდეს, როგორც „არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან“.

აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:

- გადაიხედოს პროგრამის მიზნები და მკაფიოდ გამოიკვეთოს კავშირი განათლების მეცნიერებების კვლევებისა და განვითარების მიმართულებით;
- რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების როგორც შინაარსობრივი, ისე ფორმალური თვალსაზრისით ახალ მარეგულირებელთან მოვიდეს შესაბამისობაში;
- რეკომენდებულია სასწავლო კურსები გადაიხედოს პედაგოგიკის მეცნიერების თემატიკით გამდიდრების თვალსაზრისით;
- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა გადახედოს პროგრამაში არსებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტის კრედიტების განაწილების სტუქტურას და მოცულობას;
- რეკომენდებულია უნივერსიტეტმა კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა შესაბამისობაში მოიყვანოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებასთან;
- რეკომენდებულია ნიუ-ვიჟენ უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებას დაემატოს, დოქტორანტის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის კომპეტენციების, დისერტაციის ფორმატის და სტილის შესახებ ინფორმაცია;
- რეკომენდებულია სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელის სპეციფიკაციაში აღინიშნოს სადისერტაციო თემატიკასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი უახლესი პუბლიკაციები მაღალრეიტინგულ სამეცნიერო გამოცემებში;
- რეკომენდებულია დაზუსტდეს და განისაზღვროს საკვალიფიკაციო ნაშრომის ოფიციალური შემფასებლების კვალიფიკაცია და სამეცნიერო-კვლევითი მიმართება დისერტანტის საკვლევ საკითხთან;
- რეკომენდებულია წარმოდგენილი პროგრამისათვის გამოცხადებული აკადემიური კონკურსისთვის აკადემიური პერსონალის შერჩევის კრიტერიუმების დახვეწა და განათლების მეცნიერებების დარგის სპეციფიკაციასთან მორგება;
- პროგრამის პერსონალის მდგრადობის უზრუნველყოფისათვის რეკომენდებულია დარგის შესაბამის სპეციალისტებთან აფილირებული ხელშეკრულებების გაფორმება;

- მნიშვნელოვანია მკაფიოდ გაიწეროს განათლების მეცნიერებების მიმართულებით აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების კონკრეტული სამოქმედო გეგმა, რაც პერსონალის კვლევითი-სამეცნიერო საქმიანობის განვითარების საკმაოდ რთულ მისიას მეტ-ნაკლებად მიღწევადს გახდის;

რჩევებში გადავიდა შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს ინგლისური ენის ცოდნის დონე B2 ზე მეტით, ამასთან, დაშვების წინაპირობად განესაზღვროს დარგში მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი/პროფესიული გამოცდილება/პუბლიკაცია;
- მნიშვნელოვანია დაწესებულებამ ბიუჯეტის დაგეგმვაში აჩვენოს სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად კომპიუტერული ტექნიკის, ინვენტარის, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და კომუნალური დანახარჯები, რაც რეალურად ბიუჯეტის დაკორექტირების საჭიროების წინაშე დააყენებს მას.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 24-ე მუხლის, ასევე, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, ამავე კანონის 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის “განათლების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციის მინიჭებაზე.

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
გეგენავა დიმიტრი



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა